თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2439463

ნომერი: AR1378027

თარიღი : 12.02.2016

გაცემის თარიღი : 17.02.2016

გაცნობის თარიღი : 17.02.2016

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , საქ. სამხედრო გზის მე-9 კმ. მარჯვენა მხარე, (ნაკვ. N1 და N2) მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- კობა სურმავა პ/ნ 62001011724
- სოხუმი კვარაცხელიას ქ. N 10 ბ. 41

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 60 კვ.მ-მდე ფართობის 5 მ-მდე სიმაღლის და 2 მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობა დემონტაჟი
- 60 კვ.მ-მდე ფართობის 5 მ-მდე სიმაღლის და 2 მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობა ახალი მშენებლობა
- 4 მ-მდე სიმაღლის მქონე ღობე დემონტაჟი

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის ვებ-გვერდზე (tas.ge)

თქვენი მოთხოვნა დარეგისტრირებულია არასწორი განაცხადის ველში.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, საკადასტრო გეგმის მიხედვით ტერიტორიაზე არსებული №5/1 შენობის დემონტაჟისა და მის ნაცვლად იმავე ადგილზე მხიოლოდ სხვა კონფიგურაციით I კლასის შენობა-ნაგებობის განთავსებას.

ასევე გაცნობებთ რომ ქ. თბილისის 2014 წლის 30 დეკემბრის #20–104 დადგენილებით დამტკიცებული სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის დებულების მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის ”ფ” ქვეპუნქტის თანახმად სამსახურის უფლებამოსილებაში შედის ქალაქის ფუნქციური ელემენტების განვითარების პროცესის მოდელირება, ურბანული ქსოვილის ცალკეული მახასიათებლების ანალიზი, საპროექტო ვარიანტების და მიღებული გადაწყვეტილებების შეფასება. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის, ”ე” ქვეპუნქტით სამსახურს თავის ფუნქციების შეუფერხებელი განხორციელების მიზნით უფლება აქვს განიხილოს შენობა-ნაგებობის ექსტერიერებისა და ინტერიერების პროექტები, მოახდინოს ფერთა შეთანხმება. ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახური ქ. თბილისის მასშტაბით, როგორც არქიტექტურულ-სამშენებლო სფეროში ერთადერთი ერთიანი საჯარო ხელისუფლების განმახორციელებელი ორგანო არათუ უფლებამოსილია, არამედ ვალდებულია იზრუნოს ქალაქის მხატვრული იერსახის შემდგომი გაუმჯობესებისათვის, რათა სახელმწიფომ და საზოგადოებამ არ მიიღოს შენობა-ნაგებობათა და საერთო ჯამში ქალაქის დამახინჯებული იერსახე.

აღნიშნულის გათვალისწინებით ვინაიოდან საპროექტო ობიექტი მდებარეობს ქალაქგეგმარებით კარკასზე მნიშვნელოვან ადგილზე, სადაც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა შენობა-ნაგებობებს და მათზე განთავსებულ კონკრეტული დეტალების ვიზუალურ მხარეს, და იმის გათვალისწინებით, რომ ამავე მიწის ნაკვეთზე სამსახურის მიერ გაცემულია რამოდენიმე I კლასის ობიექტის რეკონსტრუქციის და ასევე არსებულის დემონტაჟისა და მის ნაცვლად ახლის აშენების განხორციელებისათვის შესაბამისი წერილობითი თანხმობები, იმისათვის, რომ არ განხორციელდეს მიწის ნაკვეთის ქაოტურად უსისტემოდ განვითარება და სამსახურმა ხელახლა იმსჯელოს თქვენს საკითხთან დაკავშირებით, ამავე დროს «მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ» მუხლი 65–მემუხლის მე-3 და 4 პუნქტებში. 2014 წლის 3 დეკემბერს საქართველოს მთავრობის #655 დადგენილებით შეტანილი ცვლილების 3 პუნქტის გათვალისწინებით ადგილობრივი თვითმმართველი ერთეული, უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება I კლასს დაქვემდებარებული შენობა-ნაგებობების ასაშენებლად მშენებლობის ნებართვის საჭიროების თაობაზე, რაც გაიცემა II კლასის მშენებლობებისათვის დადგენილი წესით სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია მიწის ნაკვეთის განვითარება მხოლოდ სამშენებლოდ გამოყენების კონკრეტული პირობების საფუძველზე.

აღნიშნულის გათვალისწინებით,“მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის24 მარტის #57 დადგენილების 37-ე მუხლის თანახმად, მშენებლობის ნებართვა გაიცემა სამ სტადიად (გარდა განსაზღვრული გამონაკლისებისა).

ასევე გაცნობებთ რომ პირველ რიგში თქვენი მოთხოვნა უნდა დააყენოთ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების გაცემის თაობაზე (განაცხადის ტექსტში მიუთითოთ სამსახურის მიერ გაცემული ნებართვები) და მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების მოპოვების შემდგომ გასავლელი იქნება II (არქიტექტურული პროექტის შეთანხმება) და III (მშენებლობის ნებართვის გაცემა)სტადიები.

ასევე გაითვალისწინეთ, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში ასახული უნდა იქნას კომპლექსურად ყველა I კლასის ობიექტის მონაცემები ხოლო საპროექტო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნას "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილებისა და «ქ. თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესები»ს (დამტკიცებულია ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის N 4-13 გადაწყვეტილებით) შესაბამისად შესრულებული.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით სამსახური ამ ეტაპზე მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა.

• დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.